კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისი, ჩერქეზიშვილის ქუჩა №19 ს.კ. 01.10.12.011.007- ში მდებარე ნაგებობების დემონტაჟის სამუშაოების გავლენა მომიჯნავე საკადასტრო ერთეულებზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე



ექსპერტი-კონსტრუქტორი: ბ. ნიჟარაძე

თბილისი 2021 წ.

I. დაისახა კვლევის მიზანი:

ქ. თბილისი, ჩერქეზიშვილის ქუჩა №19 ს.კ. 01.10.12.011.007 ში ნაგებობების დემონტაჟის გავლენა მომიჯნავე საკადასტრო ერთეულებზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე. საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს გამოცემული – "საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქციის" თანახმად განისაზღვრა სამუშაოს მეთოდიკა და ამოცანები, კერძოდ:

1. შენობის საპროექტო დოკუმენტაციის მოძიება და ანალიზი;
2. შენობის მზიდი კონსტრუქციის შესწავლა ;
3. შენობის ვიზუალურ-ტექნიკური გამოკვლევა;
4. კვლევის შედეგების ანალიზი და დასკვნა.

II. შენობის საპროექტო დოკუმენტაციის მოძიება, გაცნობა და ანალიზი:

მოხდა ადგილზე გასვლა და შენობების ვიზუალური დათვალიერება.

III. შენობების მზიდი ელემენტების შესწავლა:

სადემონტაჟო შენობა მდებარეობს საბურთალოს რაიონში, მისასვლელი საავტომობილო გზა ს. მგალობლიშვილის და ი. იმედაშვილის ქუჩებიდანაა. ნაკვეთი მათკუთხა ფორმისაა, ხასიათდება მცირედ დამრეცი რელიეფით.

საკადასტრო გეგმის ნუმერაციით 01/1 ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლია, აზომვითი ნახაზების მიხედვით შენობის გაბარიტული ზომებია „1-3" და „ა-დ" ღერძებში 13,27X12,80 მეტრი, საერთო ფართობით 93,90 მ2 , შენობის კონსტრუქციული სიმაღლე 8,05 მეტრია, მცირედ ქანობიანი რელიეფის გამო სამხრეთის მხრიდან შენობის იატაკი მიწის დონიდან აწეულია 1,80 მეტრით, აგებულია წითელი აგურის წყობაზე, სახურავი ოთხ ქანობიანია ხის სანივნივე სისტემაზე დაფენილი თუნუქის საფარით. საძირკველი ლენტურია, ყორე ქვის. სადემონტაჟო №01/1 შენობაზე ეზოს მხრიდან „3" ღერძის გასწვრივ „1-2" ღერძებში მიდგმულია საკადადასრო გეგმით №02/1 ნაგებობა, რომელიც გამოიყენებოდა ავტოფარეხის დანიშნულებით. მისი გაბარიტული ზომებია „1-2" და „ა-ბ" ღერძებში 3,50X5,45 მეტრი, საერთო ფართობით 13,80 მ2 , გვერდითი კედლები აგებულია ბეტონის მცირე სამშენებლო ბლოკებით, სახურავი ერთქანობიანია, გადახურულია ბეტონის ფილით, ხოლო ქუჩის მხრიდან კი მოწყობილია ავტოფარეხში შესასვლელი ავტოჭიშკარი. ავტოფარეხის სიმაღლე მიწის დონიდან 2,20 მეტრია. ტეროტორია ეზოს მრიდან შემოღობილია კაპიტალური ღობით, რის გამოც ეზოს მხრიდან დროებითი ღობის მოწყობაც არ იქნება საჭირო. ფეხმავალთა უსაფრთხოების მიზნით თავსაბურიანი დროებითი ღობე უნდა მოწყოს მხოლოდ ჩერქეზიშვილის ქუჩის მხრიდან.

დასაშლელ-სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებია: – ნაკვეთის ფართობი – 492,00 მ2 ;

– სადემონტაჟო შენობა (01/1)-ნაგებობის (02/1) საერთო ფართობი – 107,70 მ2 ;

– სადემონტაჟო სამუშაოთა მოცულობა – 572,63 მ3 . – მათ შორის: 0,00 ნიშნულის ზევით – 488,12 მ3 0,00 ნიშნულის ქვევით – 84,51 მ3 შენობის კონსტრუქციული სიმაღლე – 8,05 მ – მათ შორის: 0,00 ნიშნულის ზევით – 6,25 მ 0,00 ნიშნულის ქვევით – 1,80 მ

დემონტაჟის პროექტში მოცემულია სამუშაო წარმოების პროექტის დამუშავების პირობები და განსაზღვრულია დემონტაჟის თანმიმდევრობა, რომელიც ითვალისწინებს:

მოსამზადებელ პერიოდი – უნდა მოხდეს: უცხო ხალხის გაყვანა სადემონტაჟო უბნიდან, გარე და შიგა ქსელების გამორთვა (არსებობის შემთხვევაში), სახურავების გაწმენდა-ფენილების მოხსნა, სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით არსებული ქსელებიდან, აქტის შედგენა მოსამზადებელი პერიოდის სამუშაობის შესახებ. –

სადემონტაჟო სამუშაოები – აღნიშნულის განხორციელება გათვალსიწინებულია ზემოდან ქვემოთ მიმართულებით. აღნიშნულის შემდეგ მოხდება დანარჩენი ნაწილების ნაწილობრივი დემონტაჟი. დემონტაჟის პროექტში მითითებულია დემონტაჟის სამუშაოების დროს გასათვალისწინებელი აკრძალვები, უსაფრთხოებისა და დამატებითი ღონისძიებები დეტალურად. დემონტაჟის კალენდარული გრაფიკით სამუშაოთა დაწყება-დასრულების პერიოდი განსაზღვრულია პირობითად და მიღებულია 1.5თვე (45 კალენდარული დღე). პროექტში ასევე წარმოდგენილია სადემონტაჟო სამუშაოების დროს გამოსაყენებელი მანქანა-მექანიზმების უწყისი და მათი დახასიათები. გრაფიკულ ნაწილში წარმოდგენილია სადემონტაჟო სამუშაოების გაშლის გენერალური გეგმა და აღნიშვნებითა და ექსპლიკაციით და სადემონტაჟო სქემა. დემონტაჟის პროექტი დამუშავებულია შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით და მის მიმართ ექსპერტიზას შენიშვნები არ აქვს.

IV. მომიჯნავე შენობების ვიზუალურ – ტექნიკური გამოკვლევა:

ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთაღმოსავლეთის მიმართულებით. სადემონტაჟო შენობას დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება (ნაკვეთზე ს.კ. 01.10.12.011.009) ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი დამხმარე სათავსოებით, ხოლო აღმოსავლეთის მხრიდან (ნაკვეთებზე ს.კ. 01.10.12.011.002) ახალდ აშენებული 5 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლია განთავსებული. ჩრდლოეთის მხრიდან კი (ნაკვეთზე ს.კ. 01.10.12.011.027) 20 მეტრის მოშორებით ერთ და ორ სართულიანი საცხოვრებელი სახლია, ნააკვეთს სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება საავტომობილო გზა. ვიზუალური დათვალიერებით მომიჯნავე შენობების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მათ არ გააჩნიათ ჯდენით ან სხვა მიზეზით გამოწვეული დეფორმაციის ნიშნები, რომელიც უარყოფით გავლენას მოახდენდა შენობის მდგრადობაზე ექსპერტიზაზე წარმოდგენილ დემონტაჟის პროექტში გათვალისწინებული სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება, მათი გაშლის არეალი და გამოყენებული მანქანა-მექანიზმები, სადემონტაჟო და სამეზობლო შენობა-ნაგებობებს შორის არსებული მანძილის გათვალისწინებით უარყოფით გავლენას არ მოახდენს ზემოაღნიშნულ მიმდებარე ნაკვეთებზე მდებარე შენობა-ნაგებოებზე. აქვე უნდა ითქვას, რომ სადემონტაჟო სიმაღლე არ აღემატება მომიჯნავე შენობების სიმაღლეს. შენობის მზიდი ელემენტების დემონტაჟი უნდა მოხდეს ზემოდან ქვევით საქართველოში არსებული სამშენებლო უსაფრთხოების ნორმების დაცვით. შენობა-ნაგებობის დემონტაჟი უნდა განხორციელდეს ხელის მექანიკური იარაღებით გამოცდილი და კვალიფიციური მუშახელის გამოყენებით. შესაბამისად გამოირიცხება აღნიშნული მომიჯნავე შენობების მიმართ ყოველგვარი სახის ზეგავლენის წარმოქმნის პირობა. მომიჯნავე შენობების უნებლიე დაზიანების შემთხვევაში მათი აღდგენაშეკეთება უნდა ჩატარდეს დაუყოვნებლივ მოსახლეთა ინტერესების გათვალისწინებით. აღნიშნულთან დაკავშირებით სასურველია მიმდებარე შენობის შესწავლა დეფექტების გამოვლენითა და მოსახლეობასთან ხელშეკრულების გაფორმებით ურთიერთ ვალდებულებების შესახებ

კვლევის შედეგების ანალიზი და დასკვნა:

ქ. თბილისი, ჩერქეზიშვილის ქუჩა №19 ს.კ. 01.10.12.011.007- ში მდებარე ნაგებობების დემონტაჟი უნდა შესრულდეს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით, კვალიფიციური საპროექტო ორგანიზაციის მიერ დამუშავებული მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შესაბამისად . დემონტაჟის პროექტში მითითებული სამუშაოების, მათი გაშლის არეალისა და გამოყენებული მანქანამექანიზმების, ასევე სადემონტაჟო და სამეზობლო შენობა-ნაგებობებს შორის არსებული მანძილის გათვალისწინებით, დემონტაჟი უარყოფით გავლენას არ მოახდენს მომიჯნავე შენობების მდგრადობაზე.

ექსპერტი – კონსტრუქტორი: ბ. ნიშარაძე 07.11.2021წ.


30/06/2021


30/06/2021


30/06/2021


30/06/2021

სპეციალისტის ბიოგრაფიული მონაცემები:

სპეციალისტის სახელი, გვარი	ბექა ნიჟარაძე
პირადი N	01022009619
დაბადების თარიღი	21.06.1986
საცხოვრებელი მისამართი	ქ. თბილისი იოსებიძის ქ. N67 ბინა 29
ელ. ფოსტა	beganizharadze@yahoo.com
პეროფესია	სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სპეციალისტი
საპროექტო ორგანიზაციასი მუშაობის სტაჟი	13 წელი
განათლება 2002-2009 წელი	მაგისტრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თარიღი	07.04.2021

დადასტურება;

მე, ქვემორე ხელისმომწერი ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი მონაცმები ზუსტად აღწერს ჩემი პიროვნების გამოცდილებას და კვალიფიკაციას.

სპეციალისტი  ბექა ნიჟარაძე


Georgia
GEO
BEKA
NIZHARADZE
GEO
M
01022009619
21.06.1986
23.08.2023
13IB57271
TBILISI
23.08.2013
MINISTRY OF JUSTICE
IDGE013IB57271901022009619<<<<
8606213M2308238GEO<<<<<<<<<<<2
NIZHARADZE<<BEKA<<<<<<<<<<<<<


GEORGIA
TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA
MASTER'S
DIPLOMA
WITH HONOURS
M № 000635
By decision N 23 July 10, 2009
of the faculty of
Civil Engineering
Mr. Beka Nizharadze
was awarded the Degree of Master of
Sciences in
Civil and Industrial Engineering
Registration № 00375
Tbilisi 24 2 2010
Dean Zurab Gedenidze
Rector Archil Prangishvili
Seal
საქართველო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მაგისტრის
დიპლომი
ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲘᲡ
M № 000635
საშენებლო
ფაკულტეტის 2009 წლის 10. 7 № 23
გადაწყვეტილებით ბექა ნიჟარაძეს
მიენიჭა მეცნიერების
მაგისტრის აკადემიური ხარისხი
სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის
სპეციალობით
დეკანი ზურაბ გედენიძე
რექტორი არჩილ ფრანგიშვილი
ბ.ა.
Seal